ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 11-45

"8" მაისი 2015 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ან/და მისი 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისათვის აუდიტორული მომსახურების (მათ შორის, ქონების შეფასების) მიღების მიზნით, შესაბამისი უფლებამოსილი აუდიტორის ან/და აუდიტური ფირმის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-107 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-10 პუნქტისა და 9[1]-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ან/და მისი 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისათვის აუდიტორული მომსახურების (მათ შორის, ქონების შეფასების) მიღების მიზნით, შესაბამისი უფლებამოსილი აუდიტორის ან/და აუდიტური ფირმის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20-107 დადგენილებაში (სსმ, ვებ–გვერდი:www.matsne.gov.ge, 05/01/2015, სარეგისტრაციო კოდი: 010270000.35.101.016106) შევიდეს ცვლილება, კერძოდ:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„ე) აუდიტურ კომპანიასთან ან აუდიტორთან გასაფორმებელი ხელშეკრულება, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ვალდებულების

შეუსრულებლობის პრევენციის მიზნით საბანკო გარანტიის წარდგენას, რომლის ოდენობაც უნდა იყოს არანაკლებ ხელშეკრულების ღირებულების 5% და მისი მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას ერთი თვით, ასევე საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი, ამასთან საბანკო გარანტიის გარანტისგან (გარანტიის გამცემი ფინანსური ინსტიტუტი) მოთხოვნის უფლებამოსილება უნდა ენიჭებოდეს აუდიტორული მომსახურების მიმღებს."

ბ) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით:

„3. სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელების შემთხვევაში აუდიტური ფირმის ან/და აუდიტორის შერჩევის შემდეგ საწარმო განცხადებით მიმართავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქონების მართვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) შერჩეული აუდიტორული ფირმის ან/და აუდიტორის დანიშვნის მოთხოვნით."

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ან/და მისი 50%–ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისათვის აუდიტორული მომსახურების (მათ შორის, ქონების შეფასების) მიღების მიზნით, შესაბამისი უფლებამოსილი აუდიტორის ან/და აუდიტური ფირმის შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–107 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო დადგენილების პროექტზე

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2014 წლის 30 დეკემბრის N20–107 დადგენილებით დაამტკიცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ან/და მისი 50%–ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისათვის აუდიტორული მომსახურების (მათ შორის, ქონების შეფასების) მიღების მიზნით, შესაბამისი უფლებამოსილი აუდიტორის ან/და აუდიტური ფირმის შერჩევის წესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საფუძველზე წარმოდგენილ პროექტში, იცვლება ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის N20–107 დადგენილებით დამტკიცებულ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ან/და მისი 50%–ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი იურიდიული პირებისათვის აუდიტორული მომსახურების (მათ შორის, ქონების შეფასების) მიღების მიზნით, შესაბამისი უფლებამოსილი აუდიტორის ან/და აუდიტური ფირმის შერჩევის წესის მე–2 მუხლის მე–2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, რომლითავ დგინდება რომ აუდიტორულ კომპანიასთან ან აუდიტორთან გასაფორმებელი ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს ვალდებულების შეუსრულებლობის პრევენციის მიზნით საბანკო გარანტიის წარდგენას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. აღნიშნული ცვლილების მიხედვით „ე“ ქვეპუნქტი ყალიბდება შემდეგნაირად: „აუდიტურ კომპანიასთან ან აუდიტორთან გასაფორმებელი ხელშეკრულება, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთვევებში აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ვალდებულების შეუსრულებლობის პრევენციის მიზნით საბანკო გარანტიის წარდგენას, რომლის ოდენობაც უნდა იყოს არანაკლებ ხელშეკრულების ღირებულების 5% და მისი მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას ერთი თვით, ასევე საბანკო გარანტია უნდა იყოს უპირობო და გამოუთხოვადი, ამასთან საბანკო გარანტიის გარანტისგან (გარანტიის გამცემი ფინანსური ინსტიტუტი) მოთხოვნის უფლებამოსილება უნდა ენიჭებოდეს აუდიტორული მომსახურების მიმღებს“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცვლილების შესახებ წარმოდგენილი პროექტი განსაზღვრავს, რომ საბანკო გარანტიის მოთხოვნა უნდა განხორციელდეს მხოლოდ „სახელმწიფო შესყიდვების სესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევები.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას თბილისის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.